ტფილისი

№ 235 1877

ივერია

№ 235 1903

ნოემბერი 4, სამშაბათი 1903 წ.

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ნოემბერი 4, სამშაბათი 1903 წ.

რედაქციისაგან

უმორჩილესად ვსთხოვთ იმ ხელის მომწერთ, რომელთაც გაზეთის ფული სრულად არ შემოუტანიათ, დააჩქარონ ფულის შემოტანა.

პირველ ნოემბრიდან წლის დამლევამდე

გაზ. „ივერია“

ჯდის 2 მან. 75 კაპ.

გაზეთის „ივერიის“ ფასი თვეობით 12 თვით—10 მან., 11 თვით—9 მ. 50 კ., 10 თვით—8 მ. 75 კ., 9 თვით—8 მ., 8 თვით—7 მ. 25 კ., 7 თვით—6 მ. 75 კ., 6 თვით—6 მ., 5 თვით—5 მ. 50 კაპ. 4 თვით—4 მ. 75 კ., 3 თვით—3 მან. 50 კ., 2 თვით—2 მ. 75 კაპ., 1 თვით—1 მან. 50 კაპ.

როინაშვილისეული ფოტოგრაფია.

ამ წლის პირველ ღვინობისთვიდამ „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების“

ფოტოგრაფია

როინაშვილისეული (ერევნის მოედანი, ხარაზოვის სახლი,

იჯარით აქვიდამ

და სრულიად ახლად მოვაწყე იარაღით და მომუშავე ხალხით.

ფოტოგრაფია შეასრულებს შემდეგს საქმეებს:

1) გადაიღებს ყოველ ზომის პორტრეტებს;

2) გაადიდებს ძველ თუ ახალ სურათებს;

3) ვინც ერთ დუჟინზე არა ნაკლებ კაბინეტის სურათს შემოუკვეთს ჩემს ფოტოგრაფიას, **მეცამეტე სურათი, მიეცემა მუქთად** აკვარელით (ფერადებით) **საუცხოვოდ დახატული.**

4) გარდა ამისა, ფოტოგრაფიას მრავლად აქვს გასაყიდად სურათები ძველის ნაშთებისა, სანახებისა და საზოგადო მოღვაწეთა სურათები.

ყოველ შეკვეთილს საქმეს ფოტოგრაფია შეასრულებს თავის დროზე, კარგად და ზომიერ ფასად.

მოსწავლეებს ფოტოგრაფია გადაიღებს დაკლებულ ფასად.

პატივის ცემით მოიჯარადრე მხატვარი **ტარასი სიმონის ძე მომცემაძე.**

ს.-პეტერბურგის კომპანია

„ნადეჟდა“

ზღვით, მდინარით და ხმელეთით გაგზავნილ საქონლის დასაზღვევად, ტვირთის გასაგზავნად და ქონებათა ცეცხლისაგან დასაზღვევად.

დაარსებულია 1847 წელს

მარიითადა თანხა	1.650.000 მან.
სათადარიგო თანხა	2.664.808 მან.

დაზღვევის ოპერაციები.

ა) დაზღვევა საქონლისა, რომელიც გასაგზავნია როგორც ხმელეთით, ისე ზღვით და არხით.

ბ) დაზღვევა ცეცხლისაგან ყოველგვარ ქონებისა.

გ) დაზღვევა ყოველგვარ ხიფათისაგან გზაში ნავთა ამა თუ იმ ნაწილისა, გემთა, ბარჟებისა ვაგონებისა და ვაგონ-ცისტერნისა.

დ) დაზღვევა განძისა, რომელიც გადასატანია ფოსტით ხმელეთით და ზღვაზედ მსოფლიო საფოსტო კავშირის ყველა ადგილას.

დაზღვევას ასრულებს როგორც გამგეობა ისე კომპანიის სააგენტონი ყველგან-სატრანსპორტო სააგენტოს გარდა, ცეცხლისაგან დაზღვევის ოპერაციას აწარმოებენ 350-ზედ მეტი განსაკუთრებით ცეცხლისაგან დაზღვევის სააგენტონი.

გამგება ს.-პეტერბურგის კომპანიის **ნადეჟდას**„-ი ს.-პეტერბურგში, ადმირალტეისტვოს პროსპექტზედ, სახლის № 10.

სანდო კაცნი და რწმუნებულნი: საზღვაო ნავოსნობის საქმეთათვის—ბაქოში. მდინარეთა ნავოსნობისათვის—ნიჟნი-ნოვგოროდში.

ტფილისის სააგენტო ქართველთა თავად-აზნაურობის საზოგადოების სახლშია, გრიბოედოვის ქუჩა, № 6, ტელეფონი № 433. (50—6—1)

„ცოდნა“

ახლად დაარსებული ქართული წიგნის მაღაზია

ტფილისი, ქაშვეთის ქუჩა, არჯევანიძის სახლი (ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ).

იყიდება. ყველა ქართული წიგნები და ქართულ-რუსული სახელმძღვანელონი სახმარებელნი სამრევლო და სამინისტრო სკოლებში. აგრეთვე მაღაზია ჰყიდის და ყიდულობს ძველს და ნახმარს წიგნებს დაკლებულ ფასად.

საგანი „ცოდნის“ მაღაზიისა—გავრცელება ხალხში და საზოგადოებაში გამოსადეგ, სასარგებლო და ყველასათვის ხელ-მისაწვდომ გამოცემათა.

მსურველთ წიგნები ეგზავნება ქალაქ-გარედაც **ფას-დადებით.**

დაუყოვნებლივ ვასრულებთ ყოველგვარ შეკვეთას, როგორც ქალაქის აგრეთვე პროვინციის მცხოვრებლებისას.

იქვე მიიღება ხელის მოწერა ყოველ ქართულ ჟურნალ-გაზეთებზე.

ადრესი: Тифлисъ, Книжный магазинъ „ЦОДНА“.

წიგნის მაღაზიის პატრონი და მმართველი სოსიკო მერკვილაძე.

წარმოდგენა № 12. ტელეფონი № 617

ქართული თეატრი

სამშაბათს 4 ნოემბერს 1903 წ.

გ. 3. გედევანოვის საბენეფისოდ

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ

წარმოდგენილი იქნება

I

სევილიელი დალაქი

კომედია 4 მოქმ. ბომარშესი, თარ. დ. ყიფიანისა.

II

დუელი

ხუმრობა 1 მოქმ. გად. კ. გალუსტოვისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ტასო აბაშიძე, ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ნ. დავითაშვილი; ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, დ. აწყურელი, დ. ბაქრაძე. გ. გედევანოვი, ნ. გვარამძე, ი. ივანიძე, საფაროვი, კ. შათირიშვილი, შალიკაშვილი.

ადგილებას ფასი ჩვეულებრივია.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

რეჟისორი **აკაკი.**

ტფილისის სახაზინო თეატრი

რუსული ოპერა

ანტრეპრიზა მისის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.

სამშაბათს, 4 ნოემბერს 1903 წ.

ნ. ნ. ფიგნერის მონაწილეობით

წარმოდგენილი იქმნება

სრულიად ახალ მოწყობილობით

ფრანჩესკა და-რიმინი

ოპერა 4 მოქმედ. 5 სურ. მუს. ნაპრავნიკისა.

მონაწილეობას იღებენ: რენე-რადანა, კარრი, სელიუკი, სკორუპსკაია; ბ-ნნი: ფიგნერი, სელიავინი, ამირჯანი, ფედოროვი, გრინევი.

კაპელმეისტერი ბ-ნი ესპოზიტო.

უფროსი რეჟისორი ხ. ბოგოლიუბოვი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზედ.

ანონსი. ოთხშაბათს, 5 ნოემბერს, განთქმულის ბარიტონის ჯირალდონის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება «ევგენი ონეგინი», ოპერა 3 მოქმ. და 7 სურათ., მუსიკა ჩაიკოვსკისა.

ახალშენიშვილი

ელისაბედის ქუჩა, 38.

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 სათამდის და 11—2-დის, ხოლო საღამ. 5—7-დის კვირა-უქმე დღეებში 9—2-დის და საღამ. 5—7-მდის. (წლ.)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირადღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდე ავადმყოფობანი.

ყ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა. შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

მ. გ. აპეტისიანცი. 10—11 საათამდე—კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

კ. ი. გძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

გ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეგოვი. 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია

ლ. მ. ბართოლდი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტრო-ტერაპია), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

მ. ს. ლევი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

გ. ა. თარხანოვი. 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ბ. ა. ნავასარდიანი. 8½—8 ს.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. უკეთებს საავადმყოფოში მსურველთ მასსაჟს, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана*. Тифлисъ противъ памятн. Воронцова.

(წლ.)

კერძო სამკურნალო

ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9 მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

მ. ი. ჯიჯინაძე. კბილის სნეულებანი 8 საათიდგან 10 საათამდე

ლ. ი. კამოევი. საშარდ., ვენერ. და სიფილ 10—11 ს.

ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 9—10 ს.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილებისა 10—11 საათ.

ა. გ. მაღალაშვილი. შაკ. და შინაგ 10—11 ს.

ლ. მ. მონინი. ქალის., საბებ. და ბავშვ. (შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ და კვირა 11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ექიმი ქალი **მ. კ. იოსელიანი**—ქალისა და საბებიო 12—1 ს. სამშ. ხუთშ. შაბათ.

გრ. ვ. სოგოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით. ოთხშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით 1—2 საათ.

მ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—კვირაობით 10—12 საათ.

საღამოთი:

ა. გ. მაღალაშვილი. შინაგ. ბავშ. ყვავილის აცრა და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ. ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით.

(წ.)

46—8 ტელეფონი № 274

ტფილისი

დღეს, 4 ოკდომბერს, ქართულ თეატრში, არტისტის გედევანოვის საბენეფისოდ წარმოადგენენ ბომარშეს კომედიას „სევილიელი დალაქი“, თარგ. დიმიტრი ყიფიანისა, და ხუმრობა-ვოდევილს „დუელი“, გადმოკეთებულს კ. გალუსტოვის მიერ. ვინც გაიხსენებს ბ-ნ გედევანოვის ხანგრძლივსა და გულ-მოდგინე შრომას ჩვენს სცენაზედ, იმედია, ამ წარმოდგენას დაესწრება და მით მაინც დააჯილდოვებს ამ არტისტს.

კვირას, 2 ნოემბერს, დანიშნული იყო კრება სომხურ დრამატიულ საზოგადოებისა, მაგრამ წევრთა საჭირო რიცხვი არ გამოცხადდა და კრება ვერ შესდგა.

მოსკოვში 9 ნოემბერს ჩვეულებრივი ქართული საღამო იქნება იქაურ „კეთილშობილთა კლუბის“ დარბაზში. გამგებლობა თ-დ ა. სუმბათაშვილს უკისრნია.

კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს მოუთხოვნია ქალაქის სამართველოსათვის ცნობანი საშუალო სასწავლებლის დაარსების შესახებ ქალაქ ტფილისში. ქალაქის მოურავმა აცნობა მზრუნველს, რომ ქალაქის სამმართველო მაგ საქმის განხილვას არა ჰფიქრობს, ვიდრე საერო განათლების მინისტრისაგან არ მოვა ცნობა, შეწყნარებულ იქმნება თუ არა ქალაქის სამმართველოს შუამავლობა პროგიმნაზიის დაარსების შესახებ ავლაბარში.

წარსულის წლის მაგალითისამებრ, კნ. თ. დ. გრუზინსკის გამგებლობით, 5 დეკემბერს ტფილისის „კრუჟოკის“ დარბაზში საცეკვაო საღამო იქმნება, საკონცერტო და სალიტერატურო განყოფილებით, მცირე წლოვან დამნაშავეთა სამეურნეო და სახელოსნო ახალშენის სასარგებლოდ ზემო-ავჭალაში. შემოწირულება დიდის მადლობით მიიღება.

რედაქციამ მიიღო რუსულად დაბეჭდილი ვრცელი „შრომა“ მარგანეცის მრეწველთა მეხუთე კრებისა, რომელიც წელს მოჰხდა ქუთაისში 7 იანვრიდგან 1 თებერვლამდე (Труды V-го съѣзда марганцепромышленниковъ въ г. Кутаисѣ, съ 7 января по 1-ое февраля 1903 года).

მივიღეთ აგრეთვე ტფილისის ობსერვატორიის ყოველ-თვიური გამოცემა (№ 9), რომელშიაც მოთავსებულია ცნობანი ჰავისა და დარის შესახებ სეკდემბრის განმავლობაში.

უფასო სასადილოებისა და საჩაიების მომწყობ საზოგადოებას ქალაქის სამმართველომ დაუნიშნა დასახმარებლად მომავალ წლისათვის 300 მანეთი.

კავკასიის საოლქო წითელის ჯვრის გამგეობას ამ წლის 1 ივლისიდგან 1 ოკდომბრამდე მიუღია ქ. შემახაში მიწის ძვრისაგან დაზარალებულთათვის: კურსკის ქალაქის სამართველოსაგან—107 მ. 86 კ., კრასნოიარის ქალაქის სამმართველოსაგან—44 მ. 81 კ., ორენბურგის პოლიციის სამმართველოსაგან—4 მ. 25 კ., ლეპელის ადგილობრივ კომიტეტისაგან—2 მ. 80 კ., სტავროპოლის ქალაქის სამართველოსაგან—5 მ. 44 კ., ერევნის ქალაქის სამმართველოსაგან—148 მ. 11 კ., კიევის ქალაქის სამმართველოსაგან—7 მ. 95 კ. სულ 321 მ. 42 კ. წინად შეგროვილით შესდგა 136,878 მან. 87 კაპ.

წუხელის ქალაქის საბჭოში გამგეობის წევრის არჩევანი იყო. კენჭი უყარეს რამდენსამე კანდიდატს, რომელთაც მიიღეს: ა. ივანენკომ—13 თეთრი და 61 შავი, ლ. ტიგრანოვმა—44 თეთრი და 30 შავი, ს. ქრელაშვილმა—28 თეთრი და 46 შავი და პ. იაკიმოვმა 4 თეთრი და 70 შავი. ამ რიგად, ქალაქის გამგე წევრად არჩეულ იქმნა ლ. ტიგრანოვი.

სამოსამართლო პალატის სესიამ ქუთაისში 1 ნოემბერს განიხილა ქუთაისის პოლიცმეისტრის კაპიტანის ლისოვსკის საქმე, იცნო დამნაშავედ სამსახურის დროს თავის უფლებათა გადაჭარბებისათვის და გადაუწყვიტა ორის კვირით დაპატიმრება სამხედრო ჰაუბტვახტში (ნაობახტში).

ფინანსთა სამინისტროსთან, მინისტრის ამხანაგის ვ. ტიმირიაზევის თავმჯდომარეობით, განსაკუთრებულ კომისიამ დაიწყო განხილვა კომისიის განზრახულ პროექტისა, რომელსაც აზრადა აქვა შავის ზღვის ნაპირას ელექტრონის ავტომობილები გამართოს. საზოგადოების ავტომობილებს მიმოსვლა ექმნება გზატკეცილებზე შავი ზღვის გუბერნიაში, სოხუმის ოლქში, ქუთაისის გუბერნიაში და ყუბანის ოლქის თემრიუკის ნაწილში, სადაც მგზავრებსაც წაიყვან-წამოიყვანს და ბარგსაცა ჰზიდავს. ამ საზოგადოების დამაარსებელნი არიან ბ-ნი ელისეევი და ინჟენერი ფრეზე. ამ საქმის განსახორცი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელებლად საზოგადოება მოვალეა მავთულები გაიყვანოს ან ჰაერში, ბოძებზე, ან არა და მიწაში. ელექტრონის მანქანებს მდინარის ძალა ამოძრავებს.

ტფილისის ოლქის სასამართლოში 9 დეკემბრისთვის განსახილველად დანიშნულია საქმე ტატო ივანეს ძის გაბაშვილისა (იგივე გიორგი ივანეს ძე ალნიაშვილი), საპატიო მოქალაქის ოჰანეზ ტერ-ვართან ტერ-ვართანიანცისა, მოქალაქეთა ივანე რიმანოზის ძის თოთიბაძისა და რაჟდენ იოსების ძის ცეცხლაძისა და გლეხთა ილია გიტოს-ძის თოხაძისა, ნიკოლოოზ მაქსიმეს ძის სალუქვაძისა, ირაკლი ილარიონის ძის თოიძისა, გრიგოლ ნიკოლოოზის ძის მამულაშვილისა და გიორგი ონისიმეს ძის დოლიძისა, რომელთაც ჰბრალდებათ ზედაზნისა და წმ. ანტონ მარტყოფელის მონასტრის გაძარცვა. ამ საქმის გამო დაბარებულია 80-მდე მოწმე. ტატო გაბაშვილი სატუსაღოდგან გაიქცა ამ ზაფხულს.

პეტერბურგში 8 ნოემბრიდან 8 იანვრამდე გაიმართება საერთაშორისო გამოფენა. ამ გამოფენაზე გამოჰფენენ ყველა იმას, რაც-კი შეეხება ბავშვის აღზრდასა და სწავლა-განვითარებას. გამოფენის კომიტეტმა, სხვათა შორის, სთხოვა ტფილისის ქალაქის გამგეობას,—გაუგზავნოს სურათები ბავშვთა თავშესაფარებისა, ახალ შენობებისა, სანატორიებისა, სასადილოებისა, ანგარიშები ბავშვთა აღზრდა-სწავლაზე და სხვ.

ბ-ნ ზუბალაშვილების საფასით აგებულის სახალხო სახლის შენობა უკვე დაამთავრეს. შეუდგნენ სცენისა და დარბაზის თაღების კეთებას.

შეცდომის გასწორება.

„ივერიის“ № 225-ში, გვ. 2, სვ. 3, 1 სტრიქონი, კორესპონდენციაში სოფელ კასპიდამ ნათქვამია „კინაღამ არ მოჰკლა ცულით თავისი უდანაშაულო ცოლი“. სიტყვა «კინაღამ» მეტია, რადგან სულით ავადმყოფმა ალექსანდრემ მართლა მოჰკლა თავისი უდანაშაულო ცოლი.

ჩვენებური ამბები

დაბა სამტრედია საბაზრო ადგილია, რომელსაც უფრო სოფლელები ეტანებიან. აქ უფრო მეტი სოფლის ნაწარმოები იყიდება, რომელიც შემოაქვთ გარეშე სოფლებიდგან. საბაზრო დღეს „პარასკევს“ სხვა დაბა-ქალაქებიდგანაც ბევრნი ჩამოდიან აქ სავაჭროდ, რომ იყიდონ სოფლის ნაწარმოები: ბამბა, შალი, აბრეშუმი, ხილი და სხვა. სოფლელები ამ დღისათვის ამზადებენ, რაც-კი აბადიათ, მაგრამ ჩვენის მებაჟეების თავხედობით მგონი იძულებულნი გახდნენ სრულიად ამოიკვეთონ ფეხი. სხვა ქალაქებში თუ ბაჟი ერთი კაპეიკია ფუთზე ანუ ნაკლები, აქ თითქმის ორ შაურსაც აღემატება. ასაწონიც რო არა იყოს-რა და ცალიერი ხურჯინი ეკიდოს კაცს ზურგზე, ბაჟი უნდა მოსთხოვონ. უბარგო ცხენიანსაც-კი დახვდებიან და ქუჩებში 10 კ. ახდევინებენ. თუმცა ზოგი უძალოვანდება და არ აძლევს უსამართლო ბაჟსა, მაგრამ მაინც გამარჯვებული რჩება თავგასული მებაჟე. დროა, ყურადღება მიექცეს ამ თავგასულობას.

ჯვარცხმელი.

—

ქ. სიღნაღი, 1 გიორგობისთვე. ერთნაირი მწერია, წყლის გუბეებზე სცხოვრობს, მეტად მკვირცხლია, გარბის და იქვე-კი სდგას, გაბზრიალდება და იმავე სიმარდით უკანვე ბრუნდება და ჩერდება იმავე ალაგას, საიდანაც გაბზრიალდა; ამ მოძრაობას ერთის თვალის დახამხამებაზე ახერხებს. ჩვენი ქალაქი სიღნაღიც სწორედ ამ მწერს წააგავს: გადასდგამს თუ არა ერთს ნაბიჯს წინ, მაშინვე ზემოხსენებულ მწერივით უკანვე ბრუნდება ყველა საქმეში. რა საქმესაც უნდა ხელი წაავლოს, მაინც ვერ დაამთავრებს. დავიწყოთ თუ გინდ ეკლესიიდან. ჩვენი ეკლესია მთავარ-ანგელოზისა მუდამ ცარიელი იყო; უნდა გამოვტყდე, ახლაც ცარიელია. შევლენ მარტოდ-მარტო მ. დეკანოზი და მთავარ-დიაკონი, იქნება ხანდახან მათ შეჰყვეს მნათეც და გამოვლენ ისევ ესენი, მორჩა და გათავდა. ვისთვის არის აშენებული ეს საღმრთო სახლი? მართლმადიდებელ ქრისტიან ხალხისთვის, არა? დიახ, მათთვის და ეს ხომ მრევლია: მაშ, მრევლი არა ჰყავს ამ ეკლესიას? მაშ, ამოდენა ქალაქში მრევლი არ ეყოლება? მრევლი საკმაოდა ჰყავს, მაგრამ არ დაიარება ეკლესიაში. მიზეზი? მიზეზად ეს მოჰყავს ხალხს, რომ იქ (ეკლესიაში) არა გვესმის-რა და რისთვის წავიდეთო, რადგან მომეტებულ წილად ქართულად არ სრულდება საღმრთო მსახურებაო.

მოგეხსენებათ, ყველა გემოვნებას და სიამოვნებას მისდევს. შარშან მოგვხედა ღმერთმა და შეადგინეს მარიამის ოთხკლასიან ღედათა სასწავლებელში მოსწავლე ქალთაგან მგალობელთა გუნდი, მღ. მ. გ. ღვინიაშვილის ლოტბარობით შეკრებილ ქალებმა იწყეს საამო ტკბილის ხმით გალობა. ახლა-კი დაიძრა ჩვენი მძინარა მრევლი და იწყეს მუყაითად სიარული ეკლესიაში. ნამეტნავად კვირაუქმე და ბედნიერ დღეებში ტევა აღარ იყო ჩვენს ეკლესიაში; ქალაქის ყველა მხრიდან და ქუჩებიდან მიეშურებოდა ხალხი ეკლესიისკენ. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ბედნიერება ჩვენებურად, სიღნაღურად, დღე მოკლე გამოდგა და ზემოხსენებულ მწერივით ისევ თავის ადგილზე გაჩერდა ჩვეულებრივად. ჯვარცმის კვირის აქეთ ჩვენს ეკლესიაში აღარ გაგვიგონია ქალთაგან გალობა და აღარც ხალხს გაუჭაჭანებია იქ. რად მოხდა ასე? ამბობენ, ინტრიგებზეა საქმე აშენებულიო. ზოგიერთნი-კი ეკონომიას (და ზოგვას) აბრალებენ. მღ. მ. გ. ღვინიაშვილს ეძლეოდა თვეში 10 მ. და თავის საქმეს ძლიერ სინიდისიერად ასრულებდა. ს. მაშნაარიდან თითქმის ყოველ დღე დაიარებოდა ქ. სიღნაღში. ს. მაშნაარი, თუმცა ახლოა სიღნაღზე, მაგრამ გზა? ოჰ, გზას ნუღარ მეტყვით. გინდ ციცაბო კლდეებზე გივლიათ, გინდ მაშნაარიდას სიღნაღს. აი, ამ ჯოჯოხეთ გზებზე მოსიარულე კაცისთვის დაიშურეს თვეში 10 მან., რომელიც მარტო ფეხსაცმელს არ ეყოფოდა.

სიღნაღელი.

—

ს. ასკანა. (გურია). 25 ოკდომბერს ძლიერმა ქარმა მთლად ძირს ჩამოყარა სრულიად ხელუხლებელი ყურძენი, დაჰგლიჯა ხეხილი. ამ გვარად, ყურძენი და ძვირფასი ხილეულობა, რომელიც აქაურებისათვის ცხოვრების უმთავრესი საღსარია, მთლად დაიღუპა. ღამის 11 საათზე წამოვიდა კოკისპირული წვიმა, რომელმაც გასტანა თითქმის გათენებამდის, აადიდა მდინარეები, წაიღო და დააქცია წისქვილები, ბოგირები და სხვ.

ჩვენს ორ-კლასიანს სკოლას, აგერ ერთი თვე გადის, მასწავლებლები არა ჰყავს, გარდა იმ ერთისა, რომლის ნაყოფიერი შრომა უკვე პროცენტობით ნაანგარიშევი იყო ამავე გაზეთში. ეს ამოდენა ბავშვები ყოველ დღე მიადგებიან სკოლის ცარიელს დარბაზს და ბრუნდებიან სახლში, მშობელთა გულმოსაკლავად. ამ სოფლის შვილნი მასწავლებელნი-კი, რომელთა რიცხვი არა ერთი და ორია, ჩვენის სკოლის მზრუნველის მეცადინეობით, მოღვაწეობენ ზოგი რუსეთში, ზოგი ერევანში, და ზოგი სხვაგან.

სოფელი ასკანა მდებარეობს აჭარაგურიის მაღალის მთის კალთების ძირს, დაშორებულია ქალაქს და სხვა განმანათლებელ ცენტრებს არა მცირედის მანძილითა და ყოვლად უვარგისის გზებით. მიუხედავად ამისა, ხალხმა დიდი ხანია შეიგნო სწავლა-განათლების მნიშვნელობა და წინმსვლელობის გზას დაადგა: დააარსეს ხსენებული ორ-კლასიანი სკოლა, საუკეთესო ბიბლიოთეკა მთელს გურიაში, სასოფლო ბანკი და აღძრეს შუამდგომლობა ორ-კლასიან საქალებო სკოლის დაარსების შესახებ და განაჩენიც დაადგინეს: ეძლიოს სავაჟო სკოლის უფროს მასწავლებელს 400 მანეთიო. პირველ ხანად საქმე კარგად მიდიოდა სკოლის გამგებლის ბ-ნ ი. ქეიშვილის მეცადინეობით, რომელიც იმავე დროს ბანკსაც განაგებდა. მაგრამ შემდეგ ბ-ნი ქეიშვილი სხვაგან გადავიდა და აქაურმა ვაჟბატონებმა ყველა საქმე არივ-დარიეს.

4—5 წელიწადი იქნება, რაც საზოგადოებას 1200 მანეთამდის ფული აქვს შენახული სახელმწიფო ბანკში ორ-კლასიან ღედათა სკოლის შენობის ასაგებად. დღეს სკოლა მოთავსებულია დაქირავებულ სახლში. სკოლისთვის არავითარი მასალა ჯერ დამზადებული არ არის. ამშენებელ კომიტეტის თავმჯდომარე არასა ზრუნავს და კომიტეტს-კი უიმისოდ არა შეუძლიან-რა. ამბობენ, ბანკიდან 500 მანეთამდე გამოუტანიაო, ხოლო რისთვის, ჯერ არა სჩანს. უფრო შეუგნებელმა კომიტეტის წევრებმა სრულიად თავი დაანებეს კომიტეტის წევრობას. ეს გარემოება კარგს არას უნდა მოასწავებდეს. საჭიროა, ხალხი დაამშვიდონ და უჩვენონ საბუთები, რომ შეგროვილი ფული ხელუხლებელია.

ასკანელი.

რუსეთი

პეტერბურგის გამნაღდებელ-გამსესხებელ ბანკში ერთს მშვენიერ დღეს გაუთავებიათ ოპერაციები და უცბად აღმოუჩენიათ, რომ კასას 40,000 მან. აკლია. დაიწყეს კვლევა-ძიება და ვერავერი აღმოაჩინეს. ფული შეავსო ბარონ შტიგლიცის არტელმა, რომლის წევრადაც ითვლება უმთავრესი გამგე ბანკის კასისა.

— პეტერბურგის ქალაქ პეტმა უმსგავსო ქცევისათვის ქუჩებში გადაუწყვიტა ცხრას, 8 ქალს და ერთს კაცს, ჯარიმა 300 მან. ანუ დაპატიმრება ორის თვით, ერთს კაცს კიდევ ჯარიმა 200 მან., ან დაპატიმრება ექვსის კვირით.

— ჩერნიგოვის გუბერნატორმა აუკრძალა სამეცნიერო საარქივო კომისიას საჯარო კრებანი, ჩემ ნება-დაურთველად მაგის ნება არა გაქვსო. ეს ამბავი იმ გარემოებამ გამოიწვია, რომ კომისიის რამდენსამე უკანასკნელს კრებაზედ, როცა სამმა კაცმა წაიკითხა მოხსენება გლებ უსპენსკის შეგირდობის შესახებ გიმნაზიაში (1856—1861 წ.), ბევრი ხალხი თურმე დასწრო. შემდეგისათვის გუბერნატორმა მოსთხოვა კომისიას, წარმომიდგინეთ ხოლმე პროგრამები იმ საგნისა, რის განხილვაც უნდა კომისიას კრებაზედაო.

— კიევში პატიმართ ხელ-მეორედ წაუკიდეს ცეცხლი საპატიმროს.

— კურლიანდიის გუბერნიაში ურჩიეს ერთ-ერთ სამმასახლისოს, დაიბარეთ თ. მეშჩერსკის ჟურნალი „Дружескія Рѣчи“-ო. სამმასახლისომ უარი სთქვა. სახალხო სკოლების ინსპექტორმაც ურჩია სოფლებს, სკოლებისთვის დაიბარეთ ეგ ჟურნალიო, მაგრამ იმათაც უარი სთქვეს.

— მემკვიდრე ცესარევიჩმა შესწირა რუსეთის საასტრონომიო საზოგადოებას 10000 მანეთი. ახლა ცალკე დებულებაც გამოცხადდა ამ თანხის შესახებ. თანხა დაარსებულია აწ განსვენებულ მემკვიდრე ცესარევიჩის გიორგი ალექსანდრეს ძის სახელობაზედ.

—28 ოკდომბერს დაიწყო კრება რუსეთის რკინის გზების წარმომადგენლებისა. კრებამ უნდა განიხილოს, თუ როგორ მოუწყოს უფრო უკეთ მგზავრთა მოძრაობა, როგორ უნდა კმაყოფილდებოდეს უფრო ადვილად და სწრაფად პრეტენზიები მგზავრთა, თუ ან ბილეთი და ბარგი დაეკარგათ, ან ცხენები ჰყავთ გასაგზავნი, ან ღვინო აქვთ გადასაზიდი.

— გამოცხადებულია დებულება 5 კლასიან სათავად-აზნაურო კადეტთა სკოლებისა.

— ფინლიანდიაში ვაზას გუბერნატორმა გამოსცა სავალდებულო დადგენილებანი საზოგადო კრებათა და გასართობთა შესახებ. ამ დადგენილებათა დარღვევის საქმე სასამართლოებს აღარ დაექვემდებარება და განიხილავს გუბერნატორი საადმინისტრაციო წესით.

— ნება-დართულ იქმნა ახალი ჟურნალი „მევენახეობა და მეღვინეობა“.

— ტემრიუკში დაუჭრიათ სადარაჯოს ყაზახებს რევოლვერით მეთევზე ნაუმენკო. ამაზე ამხედრებულან 200—300 ახალგაზდა ბიჭები და დაუწვავს სადარაჯოს ნავი, მერე მივარდნილა ყაზახების სახლს და სულ დაულეწია იქაურობა. ყაზახები შინ არა ყოფილან. მოუწვევიათ ადგილობრივი რაზმი ჯარის კაცებისა (36-მდე) და მთელი პოლიცია ფეხზედ დაუყენებიათ. ბიჭები გაქცეულან და დამალულან. მეორე დღეს ყაზახების ჩვენებით ხუთი ბიჭი დაუპატიმრებიათ.

უცხოეთი

ჩინეთი. გაზ. „დეილი მაილ“-ის ტიანძინელი კორესპონდენტი მეტად საყურადღებო ამბებს იუწყება ჩინეთის ახლანდელ მდგომარეობის შესახებ. კორესპონდენტის სიტყვით, პეკინში საგანგებო კრება ჰქონია დიდ საიდუმლო საბჭოსა, რომელსაც დაუდგენია, ფიცხელი განკარგულება გაეგზავნოს დეპეშით ყველა მეფის მოადგილეთ და გუბერნატორთ, რომ საჩქაროდ შეჰკრიბონ ჯარები და მოაგროვონ ფული, რადგან ახლო მომავალში სადიპლომატო განხეთქილება ჩამოვარდება რუსეთთანა და მზად უნდა ვიყვნეთო. როგორც ისმის, პირველი შეტაკება მუკდენში მოხდებაო.

გაზ. „მორნინგ პოსტ“-ის პეკინელ კორესპონდენტის სიტყვით, რუსეთის მთავრობას უპასუხნია იაპონიის ელჩისათვის (რომელმაც ტოკიოდგან ნოტა წარუდგინა რუსეთს),—მხოლოდ ჩინეთია ის სახელმწიფო, რომელთანაც რუსეთს შეუძლიან მოლაპარაკება იქონიოს მანჯურიის შესახებ, და არა იაპონიაო.

ტიანძინიდგან იუწყებიან, — რუსეთს მოლაპარაკება აქვს შანჰაი-ჰუანისა და ნიუ-ჯუანს შორის რკინის გზის ლიანდაგის გამოყიდვის შესახებ, რათა შეძლება ექნეს საკუთარ ლიანდაგის განგრძობისაო.

— გაზ. „ინდეპ. ბელ“-ი აფრთხილებს თავისს მკითხველებს, დიდი მნიშვნელობა არ მისცენ „დეილ. მაილ.“-ის მიერ გამოქვეყნებულ შანჰაიდან მოსულ დეპეშებს, რომელიც იუწყება—რუსების მიერ მუკდენის დაჭერის შემდეგ ჩინეთსა და რუსეთს შორის განხეთქილება ჩამოვარდაო.

„თუმცა რუსეთი და ჩინეთი ერთმანეთს მეტად მტრულად ეკიდებიან, მაინც ძნელი წარმოსადგენია, რომ ჩინეთმა რუსეთს ომი გამოუცხადოსო. მისი პირდაპირი დამოკიდებულება რუსეთთან იმდენად დიდია, რომ იგი ვერ გაუბედავს რუსეთს გამკლავებასაო. სხვა სახელმწიფოებიც-კი რომ აქეზებდნენ ჩინეთს, მაშინაც ვერ გაბედავდა იმ სახელმწიფოს შებრძოლებას, რომელმაც „დიდი მუშტის“ ამბოხების დროს იმოდენი სიკეთე გაუწია და დიდ განსაცდელს გადაარჩინაო. ამ გვარი მოქმედება არც შეჰფერის ჩინეთის პოლიტიკურ ტრადიციას; იგი ყოველთვის მხარს უქცევს ბრიყვულ და უაზრო მუქარას, და ყოველთვის სცდილობს მოლაპარაკების გაგრძელებით დრო მოიგოს: იქნება საქმე თავის თავად ჩავარდეს კალაპოტშიო“.

გაზეთი აღნიშნავს,—ინგლისი მაინც ყოველთვის აზვიადებს ხოლმე რუსეთისა და აღმოსავლეთის სახელმწიფოთა შორის უთანხმოებასაო. იმასაც ირწმუნებოდა,—რუსეთსა და იაპონიას უსათუოდ ომი მოუხდებათო, მაგრამ მოლაპარაკება მშვიდობიანად სწარმოებს და ომსაც აღარავინ მოელისო.

„ცხადია, რომ ჩინეთი წინაამდეგობას აცხადებს მუკდენის დაჭერის გამო და სცდილობს თავისს საქმეებში უცხო სახელმწიფოსაც დააინტერესოს, მაგრამ ომის გამოცხადებამდე ჯერ დიდი მანძილია. ამასთანავე უნდა აღვნიშნოთ, რუსეთსა და ჩინეთს რომ ომი მოუხდეთ, მაშინვე თავს იჩენს ჩინეთის დანაწილების სურვილი. თუ ომი დაიწყო, ჩინეთი მალე დაძაბუნდება და სხვა სახელმწიფონი ნებას არ მისცემენ რუსეთს მარტომ ისარგებლოს მისის უძლურებით; იგინიც თავიანთ კერძს მოითხოვენ. საქმე იმით გათავდება, რომ ჩინეთი დაქუცმაცდება და ადვილი შესაძლებელიცაა, რომ მისს გაყოფას საერთაშორისო უთანხმოება და დიდი სისხლის ღვრაც მოჰყვესო“.

ასეთ დაუფიქრებელ მოქმედებით ჩინეთი ვერას მოიგებს და ამიტომ, უეჭველია, პეკინში ეცდებიან, საქმე არ გაიფუჭონ“.

იაპონია. იაპონიის გაზეთობა აღნიშნავს,—რუსები მეტად მხნედ ჰმოქმედობენ იონამპოში. სეულში საზოგადოდ მეტად შეშინებულნი არიან: ჰფიქრობენ, უეჭველად ასტყდება იაპონიასა და რუსეთს შორის ომიო.

— გაზეთების სიტყვით, იაპონიის ესკადრა შესამჩნევად გაუძლიერებიათ სათადარიგო გემებით. ამ ესკადრას შეადგენს: 6 დიდი ჯავშნიანი გემი, 8 მცირე ჯავშნიანი, 6 კრეისერი, 1 საფოსტო გემი, 3 საზარბაზნო, 14 დიდი ნაღმიანი და 40 მცირე ნაღმიანი; მთელი ესკადრა სასებოს სამხედრო ნავთსადგურშია თავმოყრილი.

— როგორც გაზ. „კ. პ.“-ი იუწყება, „ნ. ი. კ.“-ის სანაოსნო საზოგადოება ახლო მომავალში მიმოსვლას გამართავს შემდეგს ნავთსადგურთა შორის: კობევ, მოჯი, გინ-დაო, ჩიფუ, პორტ-არტური; ჩემულპოსა და კობეს შორის ამ დღეებში დაიწყება მიმოსვლაო.

— შორეულ აღმოსავლეთის გაჭირვებულ პოლიტიკურ მდგომარეობის გამო მეტად დაეცა აღმოსავლეთ-აზიაში უცხოელთა ალებ-მიცემობა; მაგრამ ყველაზედ მეტს ინგლისი და შეერთებული შტატები ჰზარალობენ. ამის გამო ტოკიოში მყოფმა ამერიკის ელჩმა მიჰმართა ბეჯითის თხოვნით ბ-ნ კომურას,—დააჩქარეთ რუსეთთან მოლაპარაკების დასრულებაო. ამბობენ, ამგვარივე წინადადება წარუდგინა იაპონიის მთავრობას ინგლისის ელჩმაცაო.

გერმანია. როგორც გაზ. „ტაიმს“-ს ატყობინებენ დეპეშით, ვენის გერმანელთა წრეებში ირწმუნებიან,—ვისბადენსა და დარმშტადტში იმპერატორთა დარბაზობას შორეულ-აღმოსავლეთის შესახებ რუსეთ-გერმანიის შეთანხმება მოჰყვება შედეგადაო. როგორც ჰფიქრობენ, ამ შეთანხმების აზრი ისაა, რომ იაპონია-ინგლისის კავშირი შეასუსტონო. თუ იაპონიასა და რუსეთს შორის ომი ასტყდა და იაპონიას ინგლისი წაექომაგა, რუსეთს გერმანია უნდა მიეშველოსო. რას მიიღებს გერმანია ასეთ უზრუნველყოფობის სამაგიეროდ,—ამის შესახებ ჯერ არა ვიცით-რა; არა ვიცითრა აგრეთვე, თუ რა დამოკიდებულება ექნება ამ შეთანხმებას რუსეთ-საფრანგეთის კონვენციასთან შორეულ აღმოსავლეთშიო.

შეიძლებაო—დასძენს კორესპონდენტი,—ამ შეთანხმებით განახლდეს საფრანგეთ-რუსეთ-გერმანიის კავშირი, რომელმაც ხელცარიელი დასტოვა იაპონია 1895 წელს ჩინეთზედ გამარჯვების შემდეგაო.

ნარკვევი

როგორ უნდა ვეკიდებოდეთ პოლონეთის გუბერნიებსაო? — კითხულობენ რუსეთის ზოგიერთი გაზეთები. „ვარშ. დნევ“-ი მსჯელობს ამ საგნის შესახებ.

არის ხოლმე ისეთი გარემოება, როცა საუკეთესო პოლიტიკა ის არის, რომ არავითარ პოლიტიკას არ ადგე. არავითარი პოლიტიკა უკეთესია ხანდისხან, ვიდრე თვით საუკეთესო პოლიტიკა.... წავიდა ის დრო, როცა მთავრობის გასამართლებელი საბუთი იყო მთამოებით მომდინარეობა, სარწმუნოება, ენა, ახლა მთავრობის გასამართლებელი საბუთია რაოდენობა და თვისება ნამდვილის მუშაკობისა, ნამდვილი ზრუნვა იმისთვის, ვისთვისაც არსებობს მხოლოდ იგი, ესე იგი ადამიანისათვის. თან-და-თან ერის სათავეში ნაკლებად-და სდგას თვალის ამბმელი სურათიანობა: ერთად-ერთ ზომად მთავრობისა ახლა უფრო ქრისტეს მცნებაა გარდაქცეული: „ვისაც უნდა პირველი იყოს, უნდა იყოს ყველას მსახური“.

ვისაც მთავრობა-კი არ უნდა თავისთვის, არამედ თავი თვისი მთავრობისათვის, ის არის უკეთესი მთავრობა; ვინც აკეთებს ბევრს და აკეთებს უკეთესად, ის არის მართალი.

უსარგებლო იქნება და არც საჭიროა უარ-ვყოთ, რომ პოლონეთის გუბერნიები რუსეთი არ არის

ისტორია და ბევრი სხვა განსაკუთრებული თვისება ცხოვრებისა სძენს ამ გუბერნიებს სხვა ელფერსაც და სხვა ფრიად ღრმა და არსებითს განსხვავებასაც აძლევს, რაიცა მათს ცალკეობას იცავს და მხარს აძლევს. არა გვგონია, რომ ამის წინააღმდეგ ბრძოლა საჭირო და ან სასარგებლო იყოს. ასეთი ბრძოლა რომ საჭიროდაც იქმნას ცნობილი, მისს დამთავრებას მოუნდებოდა რამდენიმე საუკუნე. ნამდვილად-კი საჭირო ის არის, რომ ვეძებდეთ და ვპოვებდეთ იმას, რაც შეაერთებს ჩვენის ქვეყნის ძირითადს ნორმათა და მათს განსაკუთრებულ თვისებათა, ისე-კი, რომ იგი განსაკუთრებული თვისება არ იქმნას შევიწროებული. და აი ამ ყოვლად მძიმე საქმის გადასაწყვეტად მხოლოდ ერთი რამ არის აუცილებლად საჭირო: დაინიშნონ კაცნი ყოვლად ღირსეულნი, მოხელენი, დიდნი თუ პატარანი ყოველ-მხრივ კარგნი, ისე რომ ერთი არ ერიოს მათში ისეთი, რომელზედაც შეიძლებოდეს თქმა, თვით რუსეთს არ გამოადგა და ჩვენში შეაფარებინეს თავიო. ისეთნი კაცნი უნდა დაინიშნონ, რომელთაც შეეძლოთ სამსახური, როგორც ელჩებსა და დესპანებს, წარმომადგენლებს რუსეთისას იმათთვის, ვინც ჩვენი მონათესავე და მახლობელი ერია, თუმცა-კი გვარ-ტომობით მაინც რამდენადმე განცალკევებული და განსხვავებული.

თეატრი და ხელოვნება

ქართული თეატრი.

კვირას ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასმა წარმოადგინა 5 მოქ. დრამა „კოვერლეის მკვლელობა“.

ეს პიესა დრამა-კი არა, უაზრო მელოდრამაა, რომელმაც ჩვენ სცენაზედ იმ საღამოს კომიკური ხასიათი მიიღო. კ. მესხის მიერ წამ-და-უწუმ როლის შეცვლა, რომელზედაცაა აშენებული მთელი ინტრიგა პიესისა, სცენა გემზედ, რომელიც ავტორს, ეტყობა, იმისთვის დაუწერია, რომ გამოეჩინა თვით ცხოვრების რეალურათ დასურათებით, კაცმა მართალი უნდა სთქვას, ეს სცენა სრული რეალიზმით იყო ნაჩვენები ჩვენ მსახიობების მიერ,—მატარებელი, რომელსაც უდროოდ დაშვებულმა ფარდამ ხელი შეუშალა გაესრისა მგზავრი, რომელიც დრამის მოთხოვნილებით უნდა უთუოდ მომკვდარიყო,—ყვე-

ლი ეს არავითარ შთაბეჭდილებას არ ახდენდა მაყურებლებზედ, რომელთა რიცხვიც, დარწმუნებულნი ვართ, ძლიერ შემცირდება ჩვენ თეატრში, თუ ამისთანა უგემურ საჭმლით გაუმასპინძლდება ხოლმე მათ ჩვენი თეატრის ბედ იღბლის გამგენი.

ვერ გაგვიგია, რა მოსაზრებით ხელმძღვანელობს დრამატიულ საზოგადოების გამგეობა, როცა გვერდს უხვევს ზუდერმანის, იბსენის, ჰაუპტმანის, გინდა ოსტროვსკის და სხ. პიესებს და ადგილს უთმობს ჩვენს სცენაზე ისეთ ნაწარმოებს, როგორიც „კოვერლეის მკვლელობაა“, რომელიც მაშინ ახდენს სრულ შთაბეჭდილებას, თუ არტისტმა „რეალურად“ გამოხატა ადამიანზე ზლვის მოქმედება, ან და თუ მატარებელმა სცენაზედ გაიარა.

არავითარი მატარებელი არ უშველის გამგეობას, თუ ძირიანად არ შეიცვალა ჩვენის რეპერტუარის საქმე, რომელიც დღეს ჩვენთვის საჭირ-ბოროტო საქმეთ გამხდარა. სწორედ გვებრალებოდნენ ჩვენი ნიჭიერნი მსახიობნი ვ. აბაშიძე, კ. ყიფიანი, ნ. გაბუნია-ცაგარლისა, რომელნიც ასეთს უვარგისს პიესას ახარჯავდნენ თავის ნიჭს და გამოცდილებას. ერთადერთი ცოცხალი, ბუნებრივი ადგილი ამ პიესაში—დედის ტანჯვა-წვალებაა, ამისთვის-კი სწორედ არ ღირდა ასეთი გაჭიანურებული დრამის ჯერ დაწერა, და მერე წარმოდგენა.

თვით წარმოდგენამ საკმაო თანხმობით ჩაიარა. კარგი იყო მისტრის გორდონის როლში ქ ივანიძე, საგანგებოდ ამ როლისთვის ქუთაისიდან მოწვეული. ნამდვილი ტანჯვა-წვალება დედისა აჩნდა ამ მსახიობ-ქალის თამაშობას, რომელიც მესხიშვილის სკოლის ნაყოფია. კ მესხის მდგომარეობა მართლა რომ დრამატიული იყო. ამ წარმოდგენაში ეს იძულებული იყო ორი სულ სხვა-და-სხვა სულიერი მდგომარეობა ეჩვენებინა: დამშვიდებულის და გაბოროტებულისა, მკვლელისა და მსხვერპლისა, და რამდენადაც შესაძლებელია ასეთი უცები შეცვლა სულიერი მდგომარეობისა, იგი კარგი იყო. არა უჭირდა-რა აგრეთვე კ. ყიფიანს (სენ-ჰენრი კოვერლეის პაპაჩა როლში). სვიმონიძეს და შალიკაშვილს. ამ მსახიობს დაკვირვება და მოფიქრებული თამაშობა ეტყობოდა ბალარატის უმნიშვნელო როლში. მსახიობ ქალთაც არა უჭირდათ-რა ა. კარგარეთელი კარგი ელენე იყო; ნ. დავითიშვილს სცენიური ნიჭი ეტყობა, შეგნებულადაც თამაშობს, მხოლოდ რეჟისორის ხელი აკლდა იმ საღამოს და მეტი გაბედულება სჭირია; დანარჩენებიც თავ-თავიანთ ადგილზე იყვნენ.

ხალხი ნაკლებად იყო თეატრში.

ქ. ყ—ნი

—

ავჭალის სახალხო თეატრი. შაბათს, 1 ნოემბერს, ავჭალის სახალხო თეატრში, ქართულ დრამატიულ საზოგადოების არტისტების ქ-ნ მ. საფაროვ-აბაშიძისა და ბ-ნ ი. ივანიძის მონაწილეობით წარმოდგენილ იქმნა რ. ერისთავის კომედია „ბიძიასთან გამოხუმრება“. მონაწილეობას იღებდნენ აგრეთვე ბ ნნი ადამიძე, გოცირიძე და ანანიაშვილი.

კომედიამ, რასაკვირველია, მხიარულად ჩაიარა მ. საფაროვ-აბაშიძისა და სხვათა მონაწილეობის წყალობით, ასე რომ, სახალხო თეატრს იშვიათად თუ ეღირსება ასეთი მწყობრი და სასიამოვნო თამაშობა; უმეტეს შემთხვევაში, ჩვენი სახალხო თეატრები საზოგადოდ წარმოადგენდნენ და ახლაც წარმოადგენენ ზოგიერთთა სათარეშოს, თავის გამოსაცდელს ადგილს—აქვს თუ არა ნიჭ მსახიობობისა, ხოლო ხელოვნებისა და ხალხის სარგებლობისთვის კი ნაკლებად ზრუნავდნენ. ამიტომ, სასურველია, რომ სახალხო თეატრებს მეტი ყურადღება მიექცეს ვისგანაც ჯერ არს, თუ უნდათ ხალხს რაიმე სარგებლობა მოუტანონ და ჩაახედონ ცხოვრების სარკეში; ეს კი მაშინ შეიძლება, თუ ხეირიან პიესებს ითამაშებენ მცოდნე მსახიობები და არა მოსწავლე სცენის-მოყვარულები. მხოლოდ ამ გზით შეიძლება საწადელის მიღწევა და არა იმით, რომ სახალხო წარმოდგენების სახელით გამოსაცდელი წარმოდგენები უმართონ ხალხს. ჩვენ ამით არ გვინდა ვთქვათ, რომ სცენის მოყვარულები სახალხო თეატრებიდან საერთოდ განიდევნონ, მხოლოდ ამორჩევა უნდა, რადგან ზოგს აქვს ნიჭი და უნარი, ზოგს არა და ისეთი უნდა გამოვიდეს სცენაზე, რომელსაც ძალა შესწევს და არა ისეთი, რომელსაც ორი სიტყვა ვერ უთქვამს, მოქმედებას რომ თავი დავანებოთ.

კონცერტი მეტად მრავალ-ფეროვანი იყო და დიდადაც ასიამოვნა მაყურებელნი. მონაწილეობას იღებდნენ: ბ-ნნი ი ევდოშვილი, კ. ჯაფარიძე, ნ. გოცირიძე, ადამიძე, ივანიძე, ბარათაშვილი, ჯანდიერი, ქართველ მომღერალთა გუნდი და სხ. განსაკუთრებული ყურადღება მიიქციეს საუკეთესო ლექსების გრძნობიერად წაკითხვით ი. ევდოშვილმა და კ. ჯაფარიძემ, ხოლო ნ. გოცირიძემ - კუპლეტების მღერით. კარგად იმღერა რომანსი „მშვენიერთა ხელმწიფავ“ და სხვ. ბ-ნმა ბარათაშვილმაც. დიდი მადლობის ღირსნი არიან საერთოდ ყველანი, რომ არ დაიზარეს და მხურვალე მონაწილეობა მიიღეს კონცერტში და მით სრული კმაყოფილება აგრძნობინეს მაყურებელთ, რის გამოც ტაშის ცემისა და „ვაშას“ ძახილს დასასრული არა ჰქონდა.

სასურველია, რომ ჩვენმა ქართულმა თეატრმაც ხშირად გამართოს ასეთი კონცერტ-დივერტისმენტები; ეს ბევრად ემჯობინებოდა ზოგიერთ უმსგავსო კომედია-ვოდევილს, რომელსაც წარმოდგენის ბოლოს მიაკარებენ ხოლმე ვითომდა მაყურებელთა გასამხიარულებლად. ამითი ხალხს უფრო მიიზიდავენ და შეიძლება გული არ აუცრუონ მაყურებელთ თეატრში სიარულზე, რადგან თეატრს მდაბიო ხალხი არჩენს და სცდებიან, თუ ჰგონიათ, რომ ამ დაბიო ხალხს არ ესმოდეს კარგისა და ავის მნიშვნელობა!

ს. ვ—ია.

—

ბაქოს ანტრეპრენიორებს ბ-ნთ კრუჩინინსა და საბუროვს მოუწვევიათ საგასტროლოდ, მსგავსად შარშანდელის სეზონისა, ცნობილი არტისტი ქალი ვ. თ. კომისარჟევსკისა, რომელიც მონაწილეობას მიიღებს წარმოდგენებში 1-ლ დეკემბრიდან. როგორც ხმები ისმის, ქ-ნ კომისარჟევსკისას ტფილისშიაც მოელიან საგასტროლოდ.

—

ცნობილი რომანი გრ. ლ. ნ. ტოლსტოისა „აღდგომა“ თითქმის ყველა უცხო ენებზედ არის გადაკეთებული დრამად. ალექსანდრეს თეატრის არტისტმა ბ-ნმა გემ კარგა ხანია გადააკეთა „აღდგომა“ დრამად, მაგრამ ცენზურამ მაშინ ნება არ დართო წარმოდგენისა. ეხლა, როგორც გაზეთები იუწყებიან, ბ-ნმა გემ მიიღო პეტერბურგის საცენზურო კომიტეტისაგან ნება-რთვა „აღდგომის“ სცენაზედ წარმოდგენისა, იმ პირობით, რომ მხოლოდ სატახტო ქალაქის სცენებზედ წარმოედგინათ. ახლა რამდენიმე სხვებიც შესდგომიან ტოლსტოის რომანის „აღდგომის“ პროვინციალურის სცენებისთვის გადაკეთებას.

—

პეტერბურგის სალიტერატურო-სახელოვნო საზოგადოებამ პრემია გამოაცხადა საუკეთესო პიესისათვის წელს, მარტში. საზოგადოების ჟიურის მისვლია 187 პიესა. ამათში არც ერთი არ აღმოჩენილა ღირსი სრულის პრემიისა, მხოლოდ ერთი უცვნიათ ღირსად ნახევარის პრემიისა. ეს პიესა 4 მოქმედებიანია და დაუწერია მოსკოველ ჟურნალისტს ნ. ნიკოლსკის. სახელად ეწოდება **„Меблированная пыль“**. 9 პიესა გამოურჩევიათ ისეთი, რომელიც გამოდგება წარმოსადგენად.

—

რუსული ოპერა. ბ-ნ ნაპრავნიკის ოპერა „ფრანჩესკა და რიმინი“ ერთი იმ ნაწარმოებთაგანია, რომელთა რიცხვიც მრავალია და რომელთაც სცენამდე ვერ მიუღწევიათ. ეს ოპერაც, ჩვენის აზრით, სცენაზედ ფეხს ვერ შესდგამდა, თუ რომ ისეთი კეთილის-მყოფელი არ გამოსჩენოდა მისს შემოქმედს, როგორიც ბ-ნი ფიგნერია. ბ-ნმა ფიგნერმა გაუხსნა მას გზა სცენისაკენ და სწორედ ამ სახელოვანის მომღერალის წყალობით თუ ისმენდა მას ხოლმე საზოგადოება, რადგანაც იგი საკმაოდ მოსაწყენია. არც მელოდიები, არც თვალსაჩინო რეჩეტატივები, არც ხოროსათვის სასიმღერო ჰანგები—არ მოიპოვება ამ ოპერაში და ორკესტრიდგან დაწყობილი ტლანქი გამომეტყველება მართლა რომ დრამატიულ სიუჟეტისა, —რაღაც გამოუკვეველია, ნისლ-ბურუსით მოსილი და არც გრძნობას ხვდება, არც გონებას ატყვევებს. ვინ არ იცის, რომ მუსიკალური ფრაზა, ანუ ე. ი. სხვა-და-სხვა ხმათა ხელოვნური შეხამება, უნდა ასურათებდეს ამა თუ იმ ფრაზის აზრსა და გმირის სულიერ ვითარებას, ან ამა თუ იმ წამის მნიშვნელობას. ორკესტრის გამომეტყველება ამ ოპერაში ორგვარია—ან სულ უბრალო, სადა, უხმო, არაფრის მსახველი კილოკავობა სხვა-და-სხვა საკრავთა, განსაკუთრებით ჩასაბერ საკრავთა, ან საშინელი ღრიანცელი, რომლის მნიშვნელობის თავიცა და ბოლოც ის არის, რომ კომპოზიტორი ცდილობს გამოხატოს დრამატიზმი უწყებულის მომენტისა, მაგრამ მის ფრთა-კვეცილ შემოქმედებას ვერ განუცდია შესაფერი ჰანგები და ეს სხვა-და-სხვა ხმოვანება ვერ მოუთავსებია ისეთ ფარგალში, რომელიც ადამიანის სმენას ტყვედა ჰქმნის, ან აკვირვებს გონებას მით, რომ ამა თუ იმ ხმათა წყობილება მსახველია აზრისა, რომელიც შეიძლება სიტყვებად გადათაირგმნოს.

მართალია, ადამიანის შემოქმედება არავითარ კანონებს არ ემორჩილება თვის მეტყველებაში, ამიტომ, შესაძლებელია ბ-ნი ნაპრავნიკი ჰქმნიდა თვის ნაწარმოებს იმ კანონების მიხედვით, რომელიც გამოჰედა მისმა სურათ-ნოტების ალღომ, მაგრამ, მეორეს მხრით, ადამიანის სმენაც თავისუფალია და არ არის ისეთი კანონები, რომლის ძალითაც იგი იძულებული იყოს ალაგზნოს თვისი გრძნობათა ჩანგი და გაიმსჭვალოს უწყებულ გრძნობით, მაშინ როდესაც სმენას არ შეჰხებია ამამეტყველებელი ჰანგი.

სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ უკანასკნელის მოქმედების უკანასკნელი დუეტი ფრანჩესკასი და პაოლოსი, რომელსაც ეტყობა ნიშან-წყალი ვნებათა ალსავსებისა.

ოპერა ძალიან შნოიანად და მდიდრულად არის მოწყობილი, განსაკუთრებით პირველ მოქმედების სცენა. რაც შეეხება მსახიობთ, საერთოდ ყველას რაღაც მოქანცულება და დაღლილობა ეტყობოდათ, განსაკუთრებით ბ-ნ გლადკოვს (ჯიანჩიოტტო), რომლის მკვეთრი ხმაც პირველ მოქმედებაში სუსტად მოისმოდა.

ბ-ნი ფიგნერი (პაოლო) და ქ-ნი რენე რადინა (ფრანჩესკა) ძალიანა სცდილობდნენ კარგი ელფერი აეღევნებინათ თავიანთ პარტიებისათვის და, ხომ მოგეხსენებათ, მარჯვე იექილისა არ იყოს, ბ-ნი ფიგნერი, როცა უნდა შავს გაათეთრებს და თეთრს გააშავებს. ახლაც ასე იყო: მან ცხოველი სული შთაბერა პაოლოს ლანდივით მიბნეულ გამომეტყველებას და ცოცხალ ადამიანის ბუნებით შემოსა იგი.

ბ-ნი ესპოზიტო დიდი ხელოვანია, მაგრამ მხოლოდ იქ, საცა მასალა შესაფერისად აქვს, და თუ ამ შემთხვევაში ძლიერი შთაბეჭდილება ვერ იქონია მისმა ორკესტრმა, რაღა თქმა უნდა, ეს ნიჭიერ ლოტბარს არ დაჰბრალდება.

თეატრის დარბაზი მთლად გაჭედილი იყო.

—

გაზეთებში დაბეჭდილია შინაარსი გერგარტ ჰაუპტმანის ახალის დრამისა, „როზა ბერნდტ“-ისა, რომელიც ამას წინად წარმოადგინეს ბერლინის „გერმანულ თეატრში“.

შინაარსი აღებულია სოფლის ცხოვრებიდგან. უმთავრესი გმირი პიესისა, როზა ბერნდტი, ახალგაზდა, სიცოცხლითა და ძალღონით სავსე ქალია. ყოველივე კარგ მომავალს უქადის: სილამაზე, კეთილი გული, შრომის მოყვარეობა. ახალგაზრდა ქალის სიცოცხლე სდუღს და გადმოდუღს, მაგრამ ყოველივე ეს მალე უბედურებად გადაექცა: როზა ორი წელიწადია თითქმის, რაც ყდის მკეთებელ ავგუსტ კეილზეა დანიშნული. კეილი გულ-კეთილი, მაგრამ სუსტი და ავადმყოფი, უსიცოცხლო ახალგაზდაა; სრულებით შესაფერი არ არის როზასთვის, რომელსაც მხიარული სიცოცხლე, მხურვალე სიყვარული სწყურიან. როზას მისებრ ძალ-ღონით სავსე კაცი უყვარს,—მეზობელი მემამულე ფლამი. ამასაც უყვარს, მზად არის, შეირთოს როზა, მაგრამ... ცოლიანია. ახალგაზდები ისე დაახლოვდებიან, რომ როზა დანებდება ფლამს. ქალი ჰგრძნობს თავისს დანაშაულს, ჰგრძნობს და იტანჯება. ტანჯვა უორკეცდება უფრო იმით, რომ როზა ფლამის სახლშია აღზრდილი. ფლამის ცოლს, ავადმყოფს, მაგრამ მეტად კარგ ადამიანს, შვილივით უყვარს როზა. ამ გაორკეცებულ ტანჯვას მალე ზედ მეორე უბედურება დაერთვის: სოფლის დონ-ჟუანი შტრეკმანი შეჰნიშნავს ფლამისა და როზას კავშირს და ერთს მშვენიერს დღეს პირდაპირ ეტყვის როზას,—თუ მეც არ დამნებდი, საიდუმლოებას გავამხელ და შეგარცხვენო. ქალს სძულს ეს კაცი, ეზიზღება, მაგრამ მაინც ემორჩილება. მეორედ ქალი ცივს უარს ეუბნება, რისთვისაც შტრეკმანი ქალის მამასა და კეილთან ამჟღავნებს ყველაფერს. მამას არა სჯერა და ამბობს, ჩემი ქალი პატიოსანი და უმანკოაო. შემდეგ საჩივარსაც აღძრავს შტრეკმანის წინააღმდეგ. სასამართლოში როზა ფიცს ქვეშ აცხადებს, რომ არავითარი კავშირი არა მქონია არც ფლამთან და არც სხვა ვინმესთანაო. ავტორი დიდ ყურადღებას აქცევს იმას, თუ ყოვლად პატიოსანი, პირდაპირი, სიმართლის მოყვარული ქალი გარემოებათა გავლენით როგორ იცვლება და ტყუილებით სცდილობს თავის გამართლებას. ტყუილებითაც ვერაფერს აწყობს: ქალი ფეხ-მძიმე აღმოჩნდება და ბოლოს უკიდურეს საშუალებას ხმარობს—ჰკლავს ახლად დაბადებულს ბავშვს. ამის შემდეგ-კი საიდუმლოს ველარა ჰმალავს და ყველაფერს უმჟღავნებს თავისს მამასა და დანიშნულს.

— მამაკაცები მდევნიდნენ,—ამბობს დატანჯული ქალი,—ვიმალებოდი, მეშინოდა იმათი, მაგრამ მაინც არ მასვენებდნენ. ერთის ხაფანგიდგან მეორეში ვებმოდი, თავით ფეხამდე გავები მახეში... მე არავის არ ვუყვარდი ნამდვილად... და ქალი ჟანდარმს მიჰყავს პასუხის გებაში მისაცემად.

ასე დაიღუპა სხვების წყალობით და გარემოებათა გავლენით ახალგაზდა, ძალღონით სავსე ქალი.

სამეცნიერო წერილები.

კოღო ციებ-ცხელების გამავრცელებელია.

ეს სამი წელიწადი იქნება მას აქედ, რაც მეცნიერთა მიერ აღმოჩენილ იქმნა, რომ ციებ-ცხელების გამავრცელებელი ადამიანთა შორის კოღო ყოფილა. იმ ქვეყნებში, სადაც ციებ-ცხელება იცის, არის ერთ-გვარი კოღო, რომელიც ეკუთვნის „Anopheles“ ჯიშს; აი ეს კოღოა, მეცნიერთა გამოკვლევით, მიზეზი ციებ-ცხელების გავრცელებისა.

ამ გვარ მეცნიერულ აღმოჩენას, რასაკვირველია, ფრიად დიდი შედეგი მოჰყვება, რადგან აქამდინ არ ვიცოდით ნამდვილი მიზეზი ციებ-ცხელებით ავადგახდომისა. უმთავრეს მიზეზად ამ სენის გავრცელებისა მედიცინაში აქამდინ ითვლებოდა ცუდის თვისების წყალი; ვფიქრობდით, რომ მოშხამული წყალი სწამლავს ადამიანის სხეულს და აჩენს ციებცხელებასო. ამ აზრისავე იყო თვით მამა მედიცინისა ჰიპოკრატი; ჰიპოკრატმა სთქვა, რომ იმ ადამიანს, რომელიც დაგუბებულ წყალსა სვამს, ტყირპი გაუჩნდებაო.

ახლა კი, თუმცა „კოღოს თეორია“ სრულებით არ უარჰყოფს წყალის გავლენას, მაგრამ უმთავრეს მიზეზად მხოლოდ ზემო აღნიშნულ ჯიშის კოღოს სთვლის.

ადამიანი ხდება ავად ციებ-ცხელებით ამ სენითვე მოშხამულ კოღოს კბენით; როცა კოღო უკბენს ადამიანს და ჩაურჭობს ნესტარს, ამ დროს ნაკბენ ადგილს სწამლავს ციებ-ცხელების შხამით, ხოლო აქედგან იწამლება სისხლი და ამ გვარად ადამიანი ხდება ციებ-ცხელებით ავად.

იწამლება ადამიანი მხოლოდ მაშინ, თუ რომ თვით კოღოა მოწამლული ციებ-ცხელების შხამიან მიკროსკოპიულ არსებით, რომელიც გამომწვეველი არის ამ სენისა; აქედგან ეს მიკრობი გადადის სისხლის წითელ ბურთულებში; აქ იზრდება და მრავლდება. რამდენადაც იზრდება, იმდენად უფრო და უფრო მეტს ადგილს იჭერს წითელ ბურთულებში და ბოლოს სრულებით ანადგურებს და ჰშლის ბურთულას.

როდესაც ციებ-ცხელების მიკრობი წითელ ბურთულაში დაამთავრებს თავის ზრდას, გამრავლდება და სრულებით გაანადგურებს და დაშლის თვით ბურთულის სხეულს, მაშინ გადადის სისხლში და აი, სწორედ ამ დროს ადამიანიც ჰგრძნობს გაციებას, რასაც მალე ცხელება მოჰყვება; ამიტომ რამდენადაც უფრო მალე დასრულდება ციებ-ცხელების მიკრობის განვითარება და ბურთულიდგან სისხლში გადასვლაც, იმდენად უფრო მალ-მალ მოსდის ადამიანს ციებ-ცხელება.

როდესაც მიკრობი ერთის დღის განმავლობაში ისრულებს ზრდა-გამრავლებას და სისხლში გადასვლის პროცესს, ავადმყოფსაც ყოველ დღე აციებ-აცხელებს; თუ რომ მიკრობი ამ პროცესს ორს დღეს ანდომებს, მაშინ ავადმყოფს ყოველ მესამე დღეზედ გამოაჩნდება ციებ-ცხელება; ზოგჯერ კი მიკრობი მხოლოდ სამ დღეში ასწრობს ამასა და ადამიანიც მეოთხე დღეზედ ჰხდება ავად.

ეს ციებ-ცხელების მიკრობი არის ერთ-უჯრედოვანი სხეული, რომელსაც შუაში გული აქვს. ეს სხეული, როდესაც ჯერ ნორჩია, ძლიერ მოძრავია და ამიტომ ერთ გვარი მოყვანილობა არა აქვს, გარშემო მრავალი მოძრავი თათები ასხია.

ამ სენის გამოსაკვლევად რუსეთის სხვა-და-სხვა კუთხეებში გაგზავნილი იყო სამეცნიერო ექსპედიციები; კავკასიაში გამოჰგზავნეს ექიმი ფავრი, რომელმაც თავისი უმთავრესი გამოკვლევანი აწარმოვა ყარაიაზში. ფავრი იმ დასკვნას დაადგა, რომ უმთავრესი (თუ არ ერთადერთი) მიზეზი ციებ-ცხელებისა „Anopheles“ ჯიშის კოღოა იქ, სადაც გუბე ან მდორე წყლებია, ტბები და რუებია მინდვრების მოსარწყავად, ბევრია ზემოხსენებულ ჯიშის კოღო და ძლიერადაც მძინვარებს ციებ-ცხელება. ფავრის აზრით, ამგვარ შემთხვევაში სრული დამოკიდებულებაა კოღოსა და ციებ-ცხელების გავრცელებას შორის.

ფავრმა რომ ყარაიაზში სადგომები გაშინჯა, ყველგან „Anopheles“ ჯიშის კოღო აღმოაჩინა. როდესაც ეს კოღოები დაიჭირეს და ციებ-ცხელებიანი ავადმყოფები დააკბენინეს, გაშინჯეს მათი შიგნეულობა თვალ-მადიდის შუშის საშუალებით და აღმოჩნდა, რომ მრავლად იყო ციებ-ცხელების მიკრობები. ზოგიერთ ამ გვარ მოშხამულ კოღოებს ფავრმა თავისი თავი დააკბენინა და მართლაც ციებ-ცხელებით გახდა ავად; გახდნენ ავად ისინიც, რომლებმაც მოისურვეს ამგვარ ცდაში მონაწილეობის მიღება.

ამგვარად სჩანს, რომ ადამიანისაგან იწამლება კოღო, ხოლო მოწამლულ კოღოსაგან-კი საღი ადამიანი ხდება ავად ციებ-ცხელებით. ამით დამყარდა ურთიერთობა ადამიანსა და კოღოს შორის; ციებ-ცხელების მიკრობი ხან ადამიანისა და ხან კოღოს სხეულშია; ადამიანი სწამლავს კოღოს და კოღო ადამიანს.

ამ ახალ აღმოჩენას მოჰყვა ზოგიერთ პრაქტიკულ საგნების შესწავლაც და მასთან დაიწყო ბრძოლა ამ მავნებელ სენის წინააღმდეგ. რასაკვირველია, ახლა ბრძოლაც უფრო ადვილი შეიქმნა, რადგან გავიგეთ მიზეზი ამ სენის გავრცელებისა.

იმ ქვეყნებში, სადაც ციებ-ცხელება მძივნვარებს, სცდილობენ თურმე რომ დილა ადრიან და მზის ჩასვლის შემდეგ არ გამოვიდნენ გარედ, რადგან, როგორც ხალხის დაკვირვებამ და გამოცდილებამ დაამტკიცა, ამ დროს ადვილად გახდება ავად ადამიანი ციებ-ცხელებით. ამგვარ გაფრთხილებას სრული საფუძველი აქვს: სწორედ მზის ამოსვლამდე და მზის ჩასვლის შემდეგ ციებ-ცხელების გამავრცელებელი კოღოები უფრო მეტად იკბინებიან, მაშასადამე, ამ დროს მოელის ადამიანს ციებ-ცხელებით ავად-გახდომის განსაცდელი.

იმის დასამტკიცებლად, რომ მართლა კოღოს კბენით ხდება ავად ადამიანი, სამეცნიერო ექსპედიციის წევრნი ციებ-ცხელებიან ქვეყნებში ურჩევდნენ ხალხს ისეთ პირბადის ტარებას, რომლის წყალობით შესაძლო ყოფილიყო კოღოს კბენის აცდენა. მართლაც, ხანგრძლივმა დაკვირვებამ ნათლად დაამტკიცა, რომ ისეთ საშუალებას, როგორიც არის პირბადე, ძლიერ დიდი სარგებლობა მოაქვს და მართლაც იფარავს ადამიანს ციებ-ცხელებისაგან.

ამ კოღოებმა იციან გამრავლება პატარა დაგუბებულ წყლებზედ. ამ დაგუბებულს წყალს რომ ნავთი დაასხათ, სულ ამოწყდებიან კოღოები. ამერიკაში უკვე შეუდგნენ ამ საშუალებით ბრძოლას კოღოების წინააღმდეგ, და, როგორც სჩანს, მშვენიერი შედეგიც მოაქვს.

ზემოთაც ვსთქვით, რომ მხოლოდ „Anopheles“ ჯიშის კოღოს აქვს თვისება ციებ-ცხელების გამოწვევისა.

იმ კოღოების ჯიშს, რომლებიც გუნდგუნდად დაფრინავენ ჰაერში, ჰკბენენ და თავს აბეზრებენ გამვლელ-გამომვლელთ, სახელად ჰქვია «Culex»; ციებ-ცხელების კოღოებს-კი უყვართ დაბინავება ოთახებში, დერეფნებში და საზოგადოდ თბილ ადგილას, სადაც თითქმის უძრავად არიან მიკრულნი და ამიტომ ძლიერ ადვილია მათი დაჭერა.

,,Anopheles'' ჯიშის კოღო უფრო მოშხოა ჩვეულებრივ კოღოზე; ფეხები ძლიერ გრძელი აქვს და ფრთებზედ შავი ნიშნები აყრია.

ექიმი ბადრიძე.

წ ე რ ი ლ ი

რ ე დ ა ქ ც ი ი ს მ ი მ ა რ თ

„ცნობის ფურცლის“ № 2310 გამოცხადებულია ქართულ თეატრის რეპერტუარი ამ გვარის ზედ-დამატებით: „დრამატიულ კომიტეტისა და ბატონ რეჟისორის სასტიკის დადგენილებით, არც ერთი ახალი პიესა არ დაიდგმება ქართულ სცენაზეო“ და სხვანი.

ეს ამბავი, განზრახული ცილის წამებაა, თუ მოუფიქრებელი წინდაუხედაობა, თუ მახინჯი ოხუნჯობა, არ ვიცით. ეს თვითონ ავტორმა იცოდეს და გაიხაროს. მაგრამ ისკი უნებურია, რაც არ ეკადრება: რეპერტუარი თვითონ გამოუგონია. „გამგეობასაც ცილსა სწამებს და რეჟისორმა ხომ თვისი აზრი ამ მოკლე ხანში „ივერიის“ საშუალობით კიდეც გამოაქვეყნა?!. დახლართულ საქმის გამობრუნება ერთის სულის შებერვით მოუხერხებელია. დრო აქირვება და „გამგეობასაც იმედი აქვს თავის დროზე დაანახოს ყველას თავისი შრომაც და განზრახვაც. მართალია, დღეს ვერ არის სასურველ მდგომარეობაში ქართული სცენა, მაგრამ ამის მიზეზი ძველის-ძველი ცოდვებია, რომლის გამომჟღავნება არაფერი სასურველი იქნება, რადგან საქმეს მაინცა და მაინც ვერას მოეხმარება. რომ ქართულს სცენას გამობრუნება ეპირვება და სასურველ საფუძველზე დაყენება. ეს ყველაზე უმალ, როგორც უფრო დაახლოვებულებს სცენასთან—გამგეობასა და რეჟისორს ესმის და იმიტომაც, მიუხედავად იმისა, რომ ხელის შემშლელები ბევრი ჰყავთ, შინ თუ გარეთ, თავისს საცადისს არ დააკლებენ, იმედია. თუ ეს გულწრფელი პასუხი არ აკმაყოფილებს „ცნობის ფურცელს“ და მაინცა და მაინც უნდა გამოაშკარავებული იყოს დღევანდელ სცენის ნაკლი, დაგვიდგინოს საკითხავები: 1) რატომ დღევანდელი ქართული სცენა არ არის მდიდარი, რომ სცენაც მდიდრულად იყოს მორთული, მეფე-დედოფლის ამალაც მრავალი და სანაქებოთ მორთულ-მოკაზმული? 2) რატომ ხანდახან არტისტებმა როლები არ იციან ხოლმე? 3) რატომ ახალ-ახალ პიესებს არა ვდგამთ ხოლმე? რატომ უარს არა ვყოფთ ისტორიულ და ჩვენის ცხოვრებიდან აღებულ პიესებს? 4) რატომ არა გვჯერა, ზოგიერთ რეცენზენტების რჩევა? და სხვა ყოველიფერი, რეც ასე აშფოთებს მას!.. ეს და ამგვარი საკითხავები დაგვიდგინოს და ჩვენც ყველაზე პასუხს გავცემთ, გულწრფელად და უპირბადოდ. მაგრამ ამასაც-კი ვსთხოვთ, რომ პირბადე ნუ იქნება!.. გულწრფელობა და უშიშრობა მოითხოვს, რომ მხილებელი დობე-ყორეს არ ეფარებოდეს და თავს არ იმალავდეს.

აკაკი.

„ივერიის“ ფოსტა

ალ. მ—ძეს. თქვენი „საყურადღებო“ წერილი სვანეთიდგან არ იბეჭდება.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

1 ოკდომბერი

კიშინევი. სამაზრო საერობო კრებამ დაადგინა, შეამციროს საარჩევნო ცენზი 100 დესეტინამდე, ხოლო იმათთვის, ვისაც უმაღლესი ან საშუალო განათლება მიუღია, 50 დესეტინამდე. მოქალაქეთათვის ცენზი წინანდელი დასტოვეს.—6 ნოემბერს ოდესის სამოსამართლო პალატა დაიწყებს აღდგომის დღეებში ებრაელების წინააღმდეგ მომხდარ არეულობის საქმის განხილვას.

სოხუმი. ლაპტევის ქვრივმა 30 ათასი მანეთი შესწირა გარდაცვალებულის ქმრის სახელობაზე ღამის თავ-შესაფარის ასაგებად,

პერმი. „პერმსკი კრაი“-ს გამოცემა დროებით შეაჩერეს.

სევასტოპოლი. ნალმით ააფეთქეს 1854 წელს ჩაძირულ გემის „ჩესმა“-ს ნაწილები.

ტომსკი. წლევანდელს ჰვავის მოსავალში ბლომად აღმოჩნდა შხამიანი ბალახი. გუბერნიაში ამ ბალახისაგან ბევრი იწამლება, რაიც ხშირად სიკვდილით ბოლოვდება. სოფლისა და ქალაქის მცხოვრებნი ადმინისტრაციამ გააფრთხილა. სამეცნიერო საზოგადოებანი მსჯელობენ ამ მცენარესთან საბრძოლველ ღონისძიების შესახებ. ქალაქში გასასყიდ ფქვილს ანალიზს უკეთებენ.

ტანჟერი. ლანსდოუნისა და დელკასეს შორის მოლაპარაკებამ მაროკოსათვის სესხის მოწყობის თაობაზე უნაყოფოდ ჩაიარა.

პარიჟი. პალატამ შეიწყნარა წინადადება ნაციონალისტ ბერრისა, მოვახდინოთ გამოძიება იმის თაობაზე, ებრების საქმეში პოლიტიკის მოღვაწენი იღებდნენ მონაწილეობას თუ არაო.

ბოგოტა. კოლუმბიის მთავრობამ მტკიცედ გადასწყვიტა, პანამაში აჯანყება მოსპოთო.

სოფია. მთავრობამ ოფიციალურად აცნობა უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლებს, წინანდელ კაბინეტის მიერ განცხადებულ უარს სავაჭრო ხელ-შეკრულობის განახლების შესახებ, ახალი სამინისტრო უკანვე წაიღებსო.

ბერლინი. პროფესორმა შმიდტმა იმპერატორის ავადმყოფობის შესახებ მოხსენება წაიკითხა და სთქვა, ორის თვის წინად ვნახე იმპერატორი და პირველად მაშინ გავშინჯეო.

ვაშინგტონი. პრეზიდენტი რუზველტი თავის ეპისტოლეში კონგრესის მიმართ აცხადებს, რადგან კოლუმბიის მთავრობა ხელ-შეკრულობას პანამის არხის შესახებ არ ამტკიცებს, ეს არხი შეერთებულმა შტატებმა უნდა გასჭრასო,

2 ნოემბერი

სოფია. საერო კრების სესია დაიწყება კვირას. ოპოზიცია აპირობს შეეკითხოს მთავრობას იმის გამო, რომ პოლიციამ არჩევნების დროს უფლებას გადაამეტა და ბოროტად მოიხმარა იგი, იმ ამბავმა, რომ პეტერბურგში წითელი ჯვრის საზოგადოება მაკედონელთა სასარგებლოდ შემოწირულების შეგროვებას შეუდგა, აქ ყველა ასიამოვნა. სარაფოვი მოვიდა.

ბელოსტოკი. ვასწორებთ გუშინდელ შეცდომას: „ორის ოპერაციის შემდეგ აქაურმა ხირურგებმა პოლიცმეისტერს მეტლენკოს ტყვია ვერ ამოუღეს; იგი ღრმად არის წასული თეძოში. ჰრილობა მძიმეა. ოპერაციას კიდევ გაუკეთებე

პეტერბურგი. ზაბაიკალის ვიცე-გუბერნატორად ბელომესტნოვი დაინიშნა.

3 ნოემბერი

ახალი მარგელანი. დიდის ამბით აკურთხეს თვალის სამკურნალოს შენობა.

ურმია. ზარბაზნით მოჰკლეს სამი ქურთი, რომელთაც ყაჩაღობისათვის გადაუწყვიტეს სიკვდილით დასჯა

პოტსდამი. ბიულეტენი: ,,ჭრილობა თითქმის მომრთელდა. გუშინდელს აქეთ იმპერატორს ჩურჩულით ლაპარაკი შეუძლიან,

პიზა. მეფე დედოფალი ინგლისს წაბრძანდნენ. თან ახლავთ შინაგან საქმეთა მინისტრი.

ადენი. ქუთების თემის წინააღმდეგ გალაშქრებულმა ინგლისელებმა გაიმარჯვეს. ბრიტანიის მხედრობამ სასტიკად დაჰსაჯა მტერი და უკანვე დაბრუნდა.

ვაშინგტონი. სახელმწიფო დეპარტამენტს არ მიუღია ცნობა,—კოლუმბიის მხედრობა რეიერსის წინამძღოლობით პანამაზე მიდისო. ამბობენ, შეერთებულ შტატების მთავრობას გადაწყვეტილი აქვს რკინის გზის ლიანდაგის მახლობლად შეიარაღებულ შეტაკების ნება არავის მისცესო.

ტიანძინი. ხმა დაჰყარეს,—შანჰაიჰუანს მიმავალი რუსის მხედრობის რაზმი ჩინელ მხედრობის რაზმს შეეხეთაო. შეტაკება მოხდა, რადგან რუსები ირწმუნებოდნენ,—ეს ყაჩაღთა ბრბოა და არა ჩინეთის ჯარიო. როგორც ამბობენ, 10,000 ჩინელი ჯარის კაცი გადასულა მანჯურიის საზღვრებზე.

სოფია. დღეს მთავარმა გახსნა საერო კრება. სეფე სიტყვაში ნათქვამია,—მთავრობა ყოველ ღონისძიებას იხმარს, რათა ხელი შეუწყოს და განამტკიცოს მეგობრული განწყობილობა დიდს განმათავისუფლებელ რუსეთსა და სხვა დიდ სახელმწიფოებთან, განსაკუთრებით ახლო მეზობლებთანაო.

კოპენჰაგენი. ფრედერბორგის კოშკში, რომელიც მეფის იუბილეს დღესასწაულის გამო მდიდრულადაა ბაირაღებით მორთული, ქრისტიან მეფემ მიიღო მთელი სამინისტრო, ინგლისის რწმუნებული და სამხედრო აგენტი, რომელთაც გადასცეს მეფეს ინგლისის მხედრობის გენერლად დანიშვნა. მეფემ მიიღო აგრეთვე გენერალ-ადიუტანტი მოლტკე, რომელმაც იმპერატორ ვილჰელმის საკუთარის ხელით დაწერილი ბარათი მიართვა.

სტამბოლი. უკანასკნელ წარგენილობაში, რომელიც შეთანხმებულ სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა გადასცეს პორტას, აღნიშნულია,—ზოგიერთი დიდ სახელმწიფოთაგანი იმ აზრისა იყოო, რომ უფრო ვრცელი მოთხოვნილებანი წარედგინათ პორტასათვის რეფორმათა შესახებ; ამის გამო თვით პორტასათვის უმჯობესია, ეს მოთხოვნილებანი დააკმაყოფილოსო. ამ განცხადებამ შესაფერი შთაბეჭდილება მოახდინა ილდიზ-კიოსკში. მინისტრთა საბჭოს კრებაზედ საბოლოოდ არა გადასწყდა-რა. როგორც ისმის, საბჭოს ხვალ ექნება მსჯელობა საპასუხო პროექტის შესახებაო.

სოფია. საერო საკრებულოში შესვლის დროს მთავარს ტაშის კვრითა და „ურა“-ს ძახილით მიეგებნენ. სეფე სიტყვაში ხაზ-გასმითაა აღნიშნული მთავრობის ცვლილებათა და ახალ არჩევანთა მიზეზნი, რომლითაც მთავარი კმაყოფილია. შინაგან საქმეთა მინისტრ პეტკოვმა წინადადება შეიტანა,—გავაუქმოთ ახლანდელი წესდება კრებისა, მივიღოთ დროებით სტამბულოვის დროის წესდება და ავირჩიოთ კომისია ახალ წესდების შესამუშავებლადაო. ცხარე კამათის შემდეგ უმრავლესობამ მიიღო წინადადება, რადგან ოპოზიციის ყველა ორატორებს, რომელთაც ითხოვეს სიტყვა, არ მისცეს ლაპარაკის ნება.

სოფია. სეფე სიტყვაში მილოცვაა არჩეულთა და ნათქვამია,—მიმდინარე წლის ზოგიერთ ამბავთა გამო მთავარი იძულებული იყო რწმუნების ვადის გასვლამდე შეეყარა ხალხი და ეთხოვა მისთვის რჩევა, რა მიმართულება მიეცა სამთავროს საქმეთათვისაო. ერმა გაითვალისწინა ქვეყნის ახლანდელ მდგომარეობის სიძნელე და მიანდო ახლად არჩეულთ მეტად ძნელი საქმე, ქვეყნის აღსაყვავებლად, ეროვნულ მისწრაფებათა განსახორციელებლად და სამშობლოს სადიდებლადაო. სიტყვაში ნათქვამია აგრეთვე, წესიერება და მშვიდობიანობა, რომელიც გამეფებული იყო არჩევნების დროს, მაჩვენებელია პროგრესისა, სადამდეც მიუღწევია ერსა პოლიტიკურ აღზრდა-განვითარებაში და რომელიც ამაღლებს ქვეყნის თავისუფალ დაწესებულებათაო.

დეპუტატებს მოელის დიდმნიშვნელოვანი და მეტად სასარგებლო მოღვაწეობა, რომელმაც უნდა განამტკიცოს სამთავროში წესიერი მართვა-გამგეობა და ხელი შეუწყოს მის სოციალურსა და ეკონომიურ აღორძინებასაო.

პეტერბურგის ბირჟა 21 ოკდომბერს

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	93.75
ბერლინში 100 მარკაში	45,90
პარიჟში 100 ფრანკში	37,32$^{1}/_{2}$
ლონდონში ჩეკები	94,75
ბერლინში ,,	46,30
პარიჟში ,,	37,62$^{1}/_{2}$
ბირჟის დისკონტი	5—6$^{1}/_{2}$%
4% სახელმწიფო რენტა	99$^{1}/_{2}$ გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულთ ბანკისა	95$^{1}/_{8}$ მყიდ.
5% პირ. შინაგ. მომგ. ბილ. 1864 წ.	465 გაყიდ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	353 წვ. გაყიდ.
5% გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	293$^{1}/_{2}$ გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. სკრედიტო საზოგ.	—
4$^{1}/_{2}$% ობლიგაც იმავე საზოგადოებისა.	—
4$^{1}/_{2}$% ტფილ. საადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	—
5% გირავნობ ფურც. იმავე ბანკისა	—
6% ქუთ. სა-ო მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—

რკინის გზის მიმოსვლა.

15 ოკდომბრიდან 1903 წ.

(ნაჩვენებია ტფილისის საათით)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათომს: 1) დილის 8 ს. 8 წ. 2) საღამოს 6 ს. 28 წ. 3) შუადღის 2 ს. 58 წ. (მხოლოდ ბორჯომამდე).

ბაქოს: 1) შუადღის 1 ს. 8 წ. 2) საღამოს 10 ს. 28 წ. 3) დილის 7 ს. 34 წ. 4) საღამოს 5 ს. 28 წ. (**მოსკოვს** მიმავალი. მხოლოდ სამშაბათობით).

ყარს-ერევანს: 1) შუადღის 1 ს. 28 წ. 2) საღამოს 11 ს. 13 წ.

ბ) ბათომიდან გამოდის:

ტფილის-ბაქოსაკენ: 1) დილის 9 ს. 32 წ. 2) ღამის 12 ს. 8 წ.

გ) ბაქოდან:

ტფილის-ბათომისაკენ: 1) შუადღის 1 ს 48 წ. 2) ღამის 11 ს. 28 წ. 3) დილის 4 ს. 48 წ. (მხოლოდ პარასკევობით); 4) დილის 4 ს. 8 წ.

დ) ქუთაისიდან:

ბათომისაკენ: 1) შუადღის 3 ს. 18 წ. 2) ღამის 1 ს. 58 წ.

ტფილის-ბაქოსაკენ: ღამის 3 ს. 58 წ.

ე) შორაპნიდან:

ჭიათურა-დარკვეთისაკენ: 1) დილის 6 ს. 58 წ. 2) საღამოს 5 ს. 58 წ.

ვ) დარკვეთიდან:

შორაპნისაკენ: 1) დილის 11 ს. 43 წ. 2) ღამის 10 ს. 8 წ.

ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲓᲔᲑᲘ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ.

სეიკკლესიო მუზეუმი

(სიონის ტაძრის ეზოში)

დათვალიერება შეიძლება სამშაბათობით და ხუთშაბათობით 9—11 საათამდე და კვირაობით 10—1 საათამდე, ისაც სხვა დროსა სურს დათვალიერება, შეუძლიან მიჰმართოს მუზეუმის გამგეს—ბ-ნ მოსე ჯანაშვილს (მინკვიცის ქ. № 27)

დაწესდა დღე და ღამ მორიგეობა ბებია ქალთა ქალაქის სამკურნალოში, რომელიც მუხრანის ქუჩაზეა და იღვის საბებიო ინსტიტუტში.

ყველამ, ვისაც დასჭირდება ბებია-ქალი ორსულთა, მშობიარეთა და მელოგინეთა ზორველ დახმარებისათვის, უნდა შეიტანოს ახლად დაარსებულ ბებია-ქალთა დამხმარებელ საზოგადოების სასარგებლოდ ერთი მანეთი.

ტფილისის საზოგადო წიგნთ-საცავი

(მთავარ-მართებლის სასახლის პირდაპირ)

1 აპრილიდან 1 ოკდომბრამდე ილება 4 საათზე და იკეტება 6 საათზე შუადღის შემდეგ.

1 ოკდომბრიდან 1 აპრილამდე იღება 12 საათზე და იკეტება 5 საათზე შუადღის შემდეგ. წიგნთ-საცავში მრავალ რუსულ, ქართულ, სომხურსა და ევროპიულ წიგნებს გარდა, ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთობაც არის. მკითხველთათვის დიდი დარბაზია მოწყობილი. შესვლა უფასოა.

კვირა-უქმე დღეს წიგნთ-საცავი დაკეტილია; ზჵფხულობითაც 15 აგვისტომდე დაკეტილია.

კავკასიის მუზეუმი

მთავარ-მართებლის სასახლის პირდაპირ)

დათვალიერება შეიძლება სამშაბათს, პარასკევსა და კვირა დღეს, დილის 10 საათიდან 3 საათამდე. შესვლა ერთი აბაზია.

ეტლების სიარული ტფილისსა და თელავს შორის.

მამულოვის დილიჟანსი გადის ტფილისიდგან ყოველ დღე დილის 6 საათზედ, თელავიდგან ტფილისს ჩამოდის საღამოს 7 საათზე. ფასი დახურ ეტლში 4 მან., კოზლაზედ—3 მან. (კანტორა იმყოფება ავლაბარში, კახეთის მოედანზე).

ეტლების სიარული ტფილისსა და სიღნაღს შორის.

აბოევის დილიჟანსი გადის ტფილისიდგან ყოველ დღე დილის 6 საათზე. სიღნაღიდგან ტფილისში ჩამოდის საღამოს 7 საათზე. ფასი კაცზე ვადიან დილიჟანსკი—4 მან., უვადოში—3 მან.

პირუტყვთა სამკურნალო.

მის იმპერატორებითის უმაღლესობის დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის სახელობაზედ დაარსებული პირუტყვთა მფარველი საზოგადოების საკუთარს სახლში, რიყის ქუჩაზე № 12, ტელეფონი № 536.

ავადმყოფ პირუტყვს სინჯავს ბეითალი კ. ა. ატრენოვი დილის 8 საათიდგან 10-მდე და საღამოს 5 საათიდგან 7-მდე. ამას გარდა სხვა ბეითლებიც რიგ-რიგად იმყოფებიან სამკურნალოში; ბეითალი ნ. ბრიუკსი 1$^{1}/_{2}$-დგან 2-მდე და ა. არტემოვიჩი—4-დგან 5-მდე. სამკურნალოში არის ბაგა ავადმყოფ პირუტყვთათვის, სადაც დაეტევა 12 სხვილი და 28 წვრილი საქონელი, ანუ ფრინველი. სამკურნალო იღებს წამლობისათვის და რჩევისათვის თითო სულზე 20 კაპ. სამკურნალოში ოპერაციებსაც უკეთებენ პირუტყვებს.

ნიხრი ხორცისა.

საქონლის ხორცი:

1 ხარისხისა გირვანქა	11 კ.
2 „	8 კ.
3 „	6 კ.
სუკი	15 კ.
ცხვრის ხორცი	10 კ.
კამეჩისა	7 კ.
ღორისა	
1 ხარისხის (საკატლეტე)	11 კ.
2 „ (ბარძაყი)	10 კ.
3 „ (დანარჩენი ნაწილი, ტყავებული)	8 კ.

ნიხრი პურისა.

თორნეში გამომცხვარი

1 ხარისხისა	5 კ.
2 „	3$^{1}/_{2}$კ.
3 „	3 კ.

მიმოსვლა ეტლებისა კავკასიის გზით.

კარეტა ვადიანი გადის ტფილისიდგან კაკავს 7-სა და 8 საათზედ დილით, ღამე ჩერდება მლეთში და კავკავს მიდის საღამოს 7 საათზე

გარდასახადი:

1 კლასით	15 მან,
2 „	10 „
3 „	5 „

ლინეიკა გადის ტფილისიდგან ნაშუადღევის 3 საათზე, ღამე არსადა ჩერდება.

გარდასახადი:

1 ადგილისა	6 მ. 80 კ.
2 „	4 „ 80 „

ნიხრი ეტლებით მიმოსვლისა

ქ. ტფილისში.

საათობით	60 კ.
ერთ გზობით	30 „
ქალაქიდგან ავლაბარში	40 „
ნავთლუღში	50 „
ავლაბრიდგან ნავთლუღს.	30 „
ნათლუღიდგან ქალაქს	40
ქალაქიდან და ავლაბრიდგან რკინის გზის სადგურამდე	50 „
იქვე ნახევარ საათის გაჩერება და უკან დაბრუნება	80 „
ქალაქიდგან და ავლაბრიდგან მუშთეიდის ბაღში და დიდუბეს	40
იქვე ნახევარ საათის გაჩერება და უკან დაბრუნება	1 მ.
ქალაქიდგან ორთაჭალას, საპყრობილემდე	80 კ. „
კრწანისის ბაღამდე	80 „
ნათლუღიდან რკინის გზის სადგურსა და მუშთეიდის ბაღამდე	80 „
რკინის გზის სადგურიდან ქალაქსა და ავლაბარს	60 კ.
იქიდამ ნათლუღამდე	1—20

იქ თუ რკინის გზის მატარებელმა დაიგვიანა, ყოველ ნახევარ საათში 30 კაპ. ემატება.

მართლმადიდებელთა სასაფლაომდე 50 კ.

ეს ნიხრი სავალდებულოა ღამის 1-ლი საათამდე; შემდეგ-კი 1 ოკდომბრიდგან 1 აპრილამდე ერთგზობით უნდა მიეცეს 50 კ. ხოლო 1 აპრილიდგან 1 ოკდომბრამდე 30 კ.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

ქ უ თ ა ი ს შ ი

ს. მ. ბ. თოფურიას

ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝᲨᲘ,

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშე, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ სამოკვლევათა კაბინეტით. გადამდები სენით და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ იღებულობს.

ᲐᲚᲘ

მოთხრობა მისივე, ფასი 10 კაპ.

წიგნების გამოწერა შეიძლება ფას-დადებითაც შემდეგის ადრესით: Тифлисъ, Общество распростр. грамотности.

Дозв. цензурою, Тифлисъ, 3 ноября 1903 г. Типографія Е. И. Хеладзе Русскій базаръ, домъ армяно-риг. семинаріи დროებით-რედაქტორი ვ. ყიფშიძე, გამომცემელი ა. ხარაჯიშვილი.